ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2778208

ნომერი: AR1432038

თარიღი : 15.08.2016

გაცემის თარიღი : 16.08.2016

გაცნობის თარიღი : 16.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გორგასალის I ჩიხი N75ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის №1940699 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 15

აგვისტოს №AR1432038 განაცხადით მომართა დავით ლოსაბერიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის №1940699 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის №1940699 ბრძანებით ქ. თბილისში, გორგასლის I ჩიხი №75ა–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:№01.18.06.018.051) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, ბრძანებით შეთანხმებულ „ბ“ ბლოკის +28.35 ნიშნულის გეგმაზე არასწორადაა მითითებული საცხოვრებელი ფართი, შესაბამისად ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორადაა დაფიქსირებული საცხოვრებელი ფართობის მაჩვენებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს შევიდეს ცვლილება 2015 წლის 09 ივნისის №1940699 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ):2079.6. 2016 წლის 15 აგვისტოს №AR1432038 განაცხადით ასევე წარმოდგენილია „ბ“ ბლოკის +28.35 ნიშნულის შესწორებული გეგმა.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საცხოვრებელი ფართობის მაჩვენებელი და „ბ“ ბლოკის +28.35 ნიშნულის შესწორებული გეგმა შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს. გარდა ამისა, საცხოვრებელი ფართობის მაჩვენებლის შეცვლა, ასევე გამოიწვევს 2015 წლის 09 ივნისის №1940699 ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებლის შეცვლას, რომელიც, ცვლილების შედეგად, შეადგენს 3132,1 კვ.მ.–ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის №1940699 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ):2079.6; საერთო ფართობი (კვ.მ):3132,1, ხოლო შეთანხმებული „ბ“ ბლოკის +28.35 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს 2016 წლის 15 აგვისტოს №AR1432038 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე, „ბ“ ბლოკის +28.35 ნიშნულის შესწორებული გეგმით. სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის №1940699 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის №1940699 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.